ხელშეკრულება № 9

ქ. ბათუმი

13 თებერვალი 2016წ

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. აჭარისაღმართის საჯარო სკოლა მისი დირექტორის ბატონ ზურაბ ნაგერვაძის სახით, ერთის მხრივ (შემდგომში შემსყიდველი) და შპს „ბიბლუსი“ მისი დირექტორის ირაკლი გაგნიძის სახით, მეორეს მხრივ (შემდგომში მიმწოდებელი)" "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" 23-ე მუხლის 2-ე ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა "CPV 22113000

1.2. საორიენტაციო თანხა განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარით.

2.საქონელის მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს;

2.3. მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის;

2.4. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებებით და თვითონ მიიტანოს მიმწოდებელთან გარანტიის პირობების შესასრულებლად.

შესაცვლელი ნივთი უკვე მოხსნილია წარმოებიდან და უნდა შეიცვალოს ანალოგიური უფრო ძვირი ნივთით. ამ შემთხვევაში მოხდება ფასების გადაანგარიშება და მიმწოდებლისათვის დამატებითი თანხის გადახდა.

3.4. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს.

3. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ.

4.2.მიმწოდებელი ვალდებულია მყიდველის მოთხოვნისას ანგარიშფაქტურაში მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარი-შფაქტურა;

4.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;.

4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ლარებში;

4.5. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ა/ფაქტურის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში ჩაურიცხოს მიმწოდებელს ფაქტურაში მითითებული თანხა.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარეშე;

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება მხარეთა პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახი, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულების გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ;

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით;.

9.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებულობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არინ დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

13. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 13 თებერვლიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

15. გადასახადები და ბაჟები

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე;

16.2.ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად აქედან ორი ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან, ხოლო მესამე ეგზეპლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში.

16. მხარეთა იურდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ აჭარისაღმართისსაჯარო სკოლა
ს/კოდი: 248386848
სს ლიბერთი ბანკის
ხელვაჩაურის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის №GE77LB0121111225450000
ტელ: **577 10 79 68**

დირექტორი: /ზ. ნაგერვაძე/

„მიმწოდებელი“

შპს „ბიბლუსი“
„ს/ს საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდიBAGAGE22
ა/ნ: GE17BG0000000817232100

ს/კ **205254892**

დირექტორი: /ი. გაგნიძე/